საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№141 (6367) 24 ნოემბერი 1990 წელი შაბათი ფასი 8 კაპიკ

ეროვნული ბიბლიოთეკა

22 ნოემბერს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მეორე სხდომა. სესიამ აირჩია უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების შემადგენლობები, მიიღო კანონი და დადგენილება მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი წევრის დანიშვნის შესახებ. კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებების შეტანის შესახებ, კანონი ამნისტიის შესახებ, დადგენილება დღემდე არსებული უქმე დღეების გაუქმებისა და ტრადიციულის აღდგენის შესახებ, სხვა საკანონმდებლო აქტები.

ჩვენო მკითხველო,

სიახლეებით აღსავსე დღევანდელობაში, როცა ასე სწრაფად იცვლება მოვლენები, ყველა გზას საქართველოს ეკონომიკური თუ სოციალურ-პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენ მივყევართ. ამ მეტად რთულ და დაძაბულ ვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ფართო საგამოთქვამ თავისი აზრი, თავისი ადგილი დაიჭიროს მის ფურცლებზე.

უახლოეს პერიოდში გაზეთი თავისუფალ სახალხო გაზეთად გამოცხადდება და უფრო უშუალო და გულღია დამოკიდებულება ექნება ფართო მკითხველთან, მისი თითოეული ნომერი

გამოიწერეთ „ლეჩხუმი“?

ზოგადოებრიობისა და პრესის ერთობლივ პოზიციას, მკითხველისა და გაზეთის ურთიერთთანამშრომლობას.

ამიტომ კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, იქნებ ყურადღების მიღმა დაგრჩათ რაიონულ გაზეთზე ხელმოწერა, რომელიც

აგერ უკვე სამი თვეა გრძელდება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. ხელმოწერის დასასრულამდე ბევრი აღარ დარჩა, პირველ დეკემბერს უკვე მთავრდება.

გპირდებით, რომ მომავალი წლიდან ჩვენი გაზეთი უფრო საინტერესო გახდება, მკითხველი ალბათ ამჩნევს, რომ მიუხედავად ოფიციალური სტატუსისა, გაზეთში აღარაა შეზღუდული თემები, ნებისმიერ მკითხველს აქვს უფლება თავისუფლად შეაქებს თქვენს სულიერ სამყაროს, ინტელექტს, გაგაცნობთ ჩვენი მშობლიური რაიონის ცხოვრების სიახლეებს, შეგძენთ უკეთ მუშაობის, ახლებური შრომის გამოცდილებას, ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ თავის ფურცლებზე სისტემატურად დაუთმოს ადგილი მკითხველისთვის საინტერესო პოლიტიკური, სულიერი, ეკონომიკური, კულტურული ცხოვრების ამსახველ მოვლენებს.

ხელმოწერის დამთავრებამდე ზუსტად 7 დღე დარჩა. იჩქარეთ, არცერთი ლეჩხუმელი „ლეჩხუმის“ გარეშე არ უნდა დარჩეს.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ „ლეჩხუმის“ ფასი წლით 7 მანეთი და 80 კაპიკი, 6 თვით—3 მანეთი და 90 კაპიკი, 3 თვით—2 მანეთი და 15 კაპიკი.

რთველის ბოლო დღეებია

შემოდგომის უკანასკნელი დღეები იფურცლება. ღვინის საწარმოებში აქა-იქ, თუმც კანტიკუნტად, მაგრამ მაინც მოდიან მევენახეები და წლის მოსავალს აბარებენ სამშობლოს, რაიონის ღვინის საწარმოებიც ისევ ღიაა მათთვის, ვინც დაკრიფა, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო დროულად ვერ მიაწოდა საწარმოს ყურძენი.

21 ნოემბრის მონაცემები კი ასეთია—სულ გადასამუშავებლად მიღებულია 2513 ტონა ყურძენი, აქედან გეგმაზე გაცილებით მეტი—1563 ტონა ყურძენია მიღებული ორბელის ღვინის საწარმოში, ყურძნის მიღების გეგმა შესრულებული აქვს აგრეთვე ოყურეშის ღვინის საწარმოს, სადაც 420 ტონა ყურძენია მიღებული, გარდა ამისა 292 ტონა ყურძენია მიღებული ცაგერის ღვინის საწარმოში, 238 ტონა კი ტვიშის ღვინის საწარმომ მიიღო.

ცალკეული სოფლების მიხედვით კი ასეთი მდგომარეობაა—მიმდინარე წელს ღვინის საწარმოებს ყურძენი საკარმიდამო მეურნეობის ხარჯზე ჩაბარდა, რადგან გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის პირველი ნაბიჯებია და საზოგადოებრივ მეურნეობათა თვითლიკვიდაციამ მიმდინარეობს.

ყურძნის კარგი მოსავალი მიიღეს ორბელელმა მევენახეებმა, რომელთა ანგარიშზე ორბელის ღვინის საწარმოს 814 ტონა ყურძენი ჩაბარდა, ნაცვლად 567 ტონისა, ამავე საწარმოში ბარაქიანი მოსავალი მიიტანეს ასევე ლაჯანელმა მევენახეებმა, რომელთა ბაღებში მოწეული 633 ტონა ყურძენი იქნა ორბელას ღვინის საწარმოში მიტანილი, ყურძნის დამზადების გეგმა შესრულებული აქვთ ასევე ლაილაშელ მევენახეებს, რომლებმაც სახელმწიფოს 116 ტონა ყურძენი მიჰყიდეს 106 ტონის ნაცვლად, ზვრებს კარგად მოუარეს და მოსავალიც კარგი მოიწიეს ზუბ-ოყურეშისა და ისუნდრის რეგიონის მევენახეებმა, რომელთა მიერ ოყურეშის ღვინის საწარმოში 420 ტონა ყურძენია მიტანილი.

ყურძნის სახელმწიფოსთვის მიყიდვის საგეგმო დავალება შეუსრულებელი დარჩა რაიონის მთელ რიგ სოფლებს. ძალზე მცირე მოსავალი მიიტანეს საწარმოებში ტვიშისა და ალპანის რეგიონის მევენახეებმა, ასევე ითქმის ჩხუტელის, ქვედა ცაგერის, წიფერჩის, ღვირიშისა და ლასურიაშის მევენახეებზე, რომლებმაც ბანახევროდაც ვერ შეასრულეს ყურძნის სახელმწიფოსათვის მიყიდვის საგეგმო დავალება.

რეზერვები ისევ არის მოსახლეობაში, თუკი სახელმწიფოს მივყიდით საკარმიდამო მეურნეობაში მოწეული მოსავლის მაქსიმუმს, იგი ჩვენს ეკონომიკას წაადგება, ჩვენი მცირე წვლილი იქნება რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის საქმეში.

შრომით გავლილი წლები აწევს მხრებზე ტვიშელ ნადია ბუაძეს (სურათზე). სამი შვილის დედა დასამი შვილიშვილის ბებია ოჯახის აუარებელ საზრუნავთან ერთად ყოველთვის პოულობს იმის დროს, რომ საზოგადოებრივი საქმე აკეთოს, ოჯახური დოვლათიც გაამრავლოს და ქვეყანასაც არგოს.

რაც თავი ახსოვს, ყოველთვის უვლია აბრეშუმის ჭიას. ასე იყო წელსაც, ამ ხელმარჯვე ქალმა 66 კილოგრამი აბრეშუმის პარკი მიიტანა მიმღებ პუნქტში.

ზ. გზოგბავას ფოტო.

დღეს გელათის წმინდა მიწა მიიბარებს უკანასკნელი ქართველი მეფის სოლომონ მეორის ნეშტს.

დაბრუნება მშობლიურ მიწაზე

გასულ შაბათს მთელი გზა ბათუმიდან სოფელ სარფამდე დროშებით იყო მორთული. აქ, ზღვისაზღვართან უამრავი ხალხი ელოდა ტრაპიზონიდან მეფე სოლომონ მეორის ნეშტის გადმოსვენების საზეიმო მომენტს. საღამოს რვა საათისათვის ნანატრი ჟამი დადგა. 175 წლის შემდეგ აღსრულდა იმერეთის უკანასკნელი მეფის ანდერძი.

ეს უწინარეს ყოვლისა საქართველოს მონარქისტული პარტიის წარმომადგენლებისა და მათი ხელმძღვანელის თეიმურაზ ჟორჟოლიანის დამსახურებაა. საქციას მხარი დაუჭირა საქართველოს საზოგადოებრიობამ. დასახული საქმის განხორციელებას დიდი დახმარება გაუწია ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ როსტომ დოლიძემ.

სარფის გზაზე პროცესის თანმხლები ავტომობილების გვერდით ფიცხ ბედაურებს მოაჭენებდნენ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი დროშებიანი მხედრები. მათ გარემოცვაში კი მოაბიჯებდნენ ქუთათელ-გაენათელი არქიეპისკოპოსი და ცაგერ-ლეჩხუმ-სვანეთის არქიელი კალისტრატე, რომელმაც ტრაპიზონში ბათუმის ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის საკათედრო ტაძრის წინამძღვართან დეკანოზ მამა დავითთან ერთად გადაუხადა პანაშვიდი მეფე სოლომონ შეორეს.

გონიოს უძველეს ციხესთან გუგუნებენ ზარები. გაისმის საეკლესიო საგალობლები, მიკროფონიდან ისმის სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვის სიტყვები, რომლებიც ფირზეა ჩაწერილი. აქ მცირე პანაშვიდი გადაიხადა ბათუმ-შემოქმედის მიტროპოლიტმა არქიელმა კონსტანტინემ. გვიან საღამოს კუბო მეფე სოლომონ მეორის ნეშტით დადგეს ბათუმის ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარში, პანაშვიდი გადაიხადეს არქიელმა კონსტანტინემ და არქიელმა კალისტრატემ.

კვირას, 18 ნოემბერს, საღამოს უამრავმა თბილისელმა, დედაქალაქის სტუმრებმა ვაკის პარკიდან სიონის საკათედრო ტაძრამდე მიაცილეს სოლომონ მეფის ნეშტი, რომელიც აქ დასვენეს. საღამოს უწმინდესმა და უნეტარესმა, კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ გადაიხადა დიდი პანაშვიდი.

20 ნოემბერს, დილის წირვის შემდეგ ნეშტი გადაასვენეს მცხეთაში, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში, სადაც მეფის სულის მოსახსენიებლად ლოცვა აღავლინა ილია მეორემ.

შემდეგი გზა ქუთაისისაკენაა, სადაც ბაგრატიონთა რეზიდენციაში „ოქროს ჩარდახში“ დაასვენებენ ტანჯული მეფის ნეშტს და ბოლოს, გელათი—ქართველთა დიდება და სიამაყე. შაბათს, 24 ნოემბერს, აქ საუკუნოდ დაივანებს სოლომონ მეორის ნეშტი.

წაიკითხეთ გაზეთის შიგა გვერდებზე:

დღეს გაგიხსენე ერზე მჰმუნვარე II გვ.

ტკივილიანი დღეები ერის II-III გვ.

გზის მშენებელთა საქმენი III გვ.

„იხეთი ცოდვა რა ჩაიდინე, ჩემო სამშობლოვ, მინდა ვიცოდე, რომ ამოდენა ცეცხლი დაგჭირდა და მეც ამ ცეცხლით უნდა ვიწვოდე“.

კოლაუ ნადირაძე

დღეს გაგიხსენე ერზე მჭმუნვარე

დღეს, როცა საქართველოში უკვე ჩატარდა პირველი მრავალპარტიული არჩევნები, გაიმარჯვეს ეროვნულმა ძალებმა და გადაიდგა რეალური ნაბიჯები საქართველოს თავისუფლების გზაზე, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ხალხი, რომელმაც მაშინ აღიმაღლა ხმა უსამართლობის წინააღმდეგ, როცა ამ თემაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. იყვნენ ადამიანები, რომლებიც არ შეუშინდნენ ციხეებს და გადასახლებებს, ბევრი კი მოწყდა საზოგადოებას და ჩუმად ლოცულობდა საქართველოს ბედზე, მის თავისუფლებაზე.

მინდა მაგალითად მოვიტანო ერთი ამბავი, ჯერ კიდევ ჩემთვის საიდუმლოებით მოცულ პიროვნებაზე, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩემზე, ჩემს მსოფლმხედველობაზე. ეს ამბავი 1988 წლის აპრილში მოხდა. მე საჩხერიდან ქუთაისში მოვდიოდი მატარებლით. ვაგონში ხალხმრავლობა არ იყო. როდესაც ჩემს ადგილზე მოვთავსდი, უურადღება მიიპყრო მოპირდაპირე მხარეს მჯდომმა წვეროსანმა მოხუცმა. იგი ფანჯრიდან გაპყურებდა სივრცეს, ხანდახან სევდიანად ამოიოხრებდა და მიხთვის რაღაც ლოცვის მაგვარს ჩაილაპარაკებდა. ხანდახან კი ჩემსკენ გამოიხედავდა და ოხვრას განაგრძობდა. შევატყვე რაღაც ნაღველი აწუხებდა და თითქოს ჩემთან საუბარი სურდა. გადავჯექი მის გვერდით. გავეცანით ერთმანეთს, გრიშა ბაბუას მეძახიანო, შენც ეგრე დამიძახეო. შვილიშვილთან მივდივარ, შენხელა ბიჭიაო. ცუდი ხომ არაფერი შეემთხვა-მეთქი. არა მე სულ სხვა ფიქრი და დარდი მაწუხებს, მეცოდებით ახალგაზრდები, დიდი ბრძოლა მოგიწევთო. რა ბრძოლა, ნუთუ ომი დაიწყება-თქო, გადავედი ხუმრობაზე. არა შვილო, საქართველოსთვის იბრძოლებთ, მისი თავისუფლებისთვისო.

გითხრათ სიმართლე, მე მაშინ ბევრი რამ არ ვიცოდი. მე არ ვიცოდი, რომ 1918-21 წლებში საქართველო იყო დემოკრატიული, თავისუფალი ქვეყანა (და არა მენშევიკური, როგორც გვასწავლიდნენ), და თუ ჩვენ დაპყრობილი ერი ვიყავით, ესეც არ ვიცოდი.

და როდესაც გრიშა ბაბუამ მითხრა თავისუფლებისათვის იბრძოლებთო, მე გამეცინა, როგორ ნუთუ ჩვენ თავისუფლები არა ვართ—მეთქი? არა შვილო, ჩვენ დაპყრობილი, დამონებული ერი ვართ. საბჭოთა კავშირი ყველაზე უსაზიზღრესი იმპერიაა მსოფლიოში, რომლის მარწუხებში სულს ღაფავს არა მარტო ქართველი, არამედ თვით რუსი ერიც. იგი განაგრძობდა საუბარს, მე კი გაოგნებული ვუსმენდი, ბევრი რამ არ დავიჯერე, ბევრიც დავიჯერე. დრო და დრო შეჩერდებოდა, განზე გაიხედავდა, ამოიოხრებდა და მეტყოდა— გჯეროდეს შვილო ეს ასე იყოო.

ვთხოვე ეამბნა რამე მის თავზე, ვინ იყო. მხოლოდ ის მითხრა, რომ 70 წელს მიტანებული მოხუცია, რომ მას გამოვლილი აქვს ყოველგვარი გაჭირვება, დევნა, რეპრესიები. დიდი კაცი მე არასდროს არ ვყოფილვარ, ვიყავი ჩვეულებრივი უბრალო ქართველი, მიყვარდა ჩემი მიწა და ვერ ვიტანდი იმას, რომ იმპერიის ხელში ეს მიწა ილუპებოდა, ციხეს შემთხვევით გადავურჩი, მოვიკვეთე საზოგადოებისაგან, რადგან შევატყვე, რომ ვერას გავხდებოდი და წამოვედი სოფელში და ყოველდღე საქართველოს გადარჩენაზე ვლოცულობდი. ახლა დგება მომენტი, იწყება ბრძოლა მისი თავისუფლებისთვისო. უცებ შეჩერდა, რაღაც კიდევ უნდოდა ეთქვა, მაგრამ ნაღველმა წაიღო და ჩაფიქრდა, მე კი თავი სიზმარში მეგონა, ეს რამდენი რამე არ მცოდნია-მეთქი. შემდეგ ამოიოხრა და თქვა, მოდი სათქმელს ბოლომდე ვიტყვი ძალიან მომეწონე, ჩემს შვილიშვილს გევხარო.

ამას წინათ ხილვა ვნახე, თვით მაცხოვარი გამომეცხადა, მეუბნებოდა, საქართველოში დიდი ამბები მოხდებაო, სისხლიც დაიღვრებაო, განუდექით სატანას და მიწამეთ მეო. ილოცეთ ჩემზე და გამარჯვება თქვენ დაგრჩებათო. შენ გატყობ ეს ყოველივე არ გჯერა, მაგრამ მოვა დრო და თვითონ დარწმუნდები და მაშინ გამიხსენებო. ისევ გაჩუმდა,

ბოლოს მითხრა, ჩემზე ნუარაფერს იტყვი. მისდიე მოვლენებს და თუ ჩემი ნათქვამი ასრულდა, დაწერე ჩემზე და თუ ცოცხალი ვიქენი, წაიკითხავ და გამიხარდებაო. თუ არ ვიქენი, ნუ იჯავრებთ, მე მჯერა თქვენ ააშენებთ თავისუფალ საქართველოს და ჩემი ცოდვილი სულიც თქვენთან იქნებაო. ამასობაში ქუთაისშიც ჩამოვედით. გადმოვიდა თუ არა, ტაქსი გავუჩერე, საფიჩხიაზე მივდივარო ტაქსიდან ვადმომძახა, ბბა თქვენ იცით ბიჭებოო.

ასე დასრულდა ამ საიდუმლოებით მოცულ, მრავალტანჯულ კაცთან შეხვედრა. ახლა ვხვდები, რომ გრიშა ბაბუამ ყველაფერი არ მითხრა, ვხვდები რა ისრით ყოფილა დაკოდილი.

ჩვენ მართლა დიდი ბრძოლები გადავიტანეთ, სისხლიც დავღვარეთ. გიხაროდეს გრიშა ბაბუა, რომ ქართველი ერი თავისუფლების ზღურბლზეა მისული, გამარჯვება ჩვენი იქნება.

მე კი ისევ თქვენ მიდგეხართ თვალწინ, გულდამძიმებულო ჭარმაგო წვეროსანო.

ვლადიმერ მუშკუდიანი,

„სოფლმშენი“

ახალი კონცერნი

მსოფლიო სტანდარტების მოთხოვნებს პასუხობს პროექტი, რომლის განხორციელებასაც შეუდგნენ დიდი გამოცდილების მქონე საქართველოს სოფლის მშენებლები. საბაზრო პირობებში სამუშაოდ რომ ემზადებიან, მათ შექმნეს საქართველოს სასოფლო მშენებლობის ახალი სახელმწიფო დარგობრივი კონცერნი—„სოფლმშენი“. გაიმართა დამფუძნებელი კონფერენცია ამ დამოუკიდებელ ორგანიზაციათა და საწარმოთა ნებაყოფლობითი გაერთიანებისა, რომელიც სოფლად განახორციელებს აგროსამრეწველო კომპლექსისა და სოციალურ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობას.

რესპუბლიკის სამშენებლო სექტორში კი ამ დროს მეტად მძიმე მდგომარეობაა. დაწყებული 1986 წლიდან ერთხელაც არ შესრულებულა სამონტაჟო-სამშენებლო სამუშაოთა წლიური გეგმა. მშენებელთა კოლექტივებში შემცირდა საწარმოო და სამშენებლო დისციპლინა, კადრების დიდი დენადობის გამო განიცდიან სამშენებლო საქმის ნამდვილი პროფესიონალების მწვავე ნაკლებობას.

ახალი კონცერნი ეძებს გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან. აქ მიაჩნიათ, რომ მხოლოდ მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებით, საბანკო ოპერაციების ღრმად ათვისებით, კომერციული მუშაობის საიდუმლოებათა დაუფლებით კონცერნის წევრები შეძლებენ მაღალ დონეზე დამოუკიდებლად გადაწყვიტონ ის ამოცანები, რომლებიც ტრადიციული ქართული სოფლის მშენებლობასთან არის დაკავშირებული.

(საინფორმაციო სააგენტო საქართველო)

სევსკო ბრინსკის ოლქის მასლობლად ახლახან ჩამოყალიბდა „ირსოვსკის“ მეურნეობა. ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ვლადიმერ ალექსეევი, რომელმაც გადაწყვიტა აქ შექმნას მეფუტკრეობის კომპლექსი საარენდო წესით.

სურათზე: საფუტკრეში.

ტკივილიანი

მოგონებები მცირეოდენი კომენტარებით

–

* * *

განუზომელი სევდა და ამაფორიაქებელი უმწეობა თან ახლდა პირველ შეხვედრას წლებთან, რომელთაც შემდგომ „ავადმოსაგონარს“ ვუწოდებთ, თარიღებად და დღეებად დავყოფთ, ჩვენს გონებაში კი სამუდამოდ დავამკვიდრებთ, როგორც ავ ზმანებას ძალისას, რომელსაც შეუძლია იქცეს შემოქმედად სისხლიანი ტერორის, გაუმართლებელი რეპრესიების, როცა იღუპება რწმენა, ზნეობა, მორალი, უფასურდება ინტელექტი, ზეიმობს უვიცობა, ბოროტება.

ჩვენ ვეძებთ თითოეულ დღეს წარსულისას, ყოველ მოგონებას ვითავისებთ, როგორც შეუხორცებელ შიშველ ჩარებს, დაუფარავსა და ?ტკივნეულს. ამ იარებს მაცქერალთ ლამის მოთმინება წაგვერთვას და შეძრწუნებულნი სულს კივილს ვმორჩილებთ... ყოველივე ეს მხოლოდ მძაფრ ქარიშხალს შეიძლება შეადარო, საიდანაც ხსნა მარტოოდენ განგებას ძალუძს.

* * *

არა ერთი და ორი, არამედ ათეულობით კაცი შეეწირა ჩვენი პატარა კუთხიდან იმ არაადამიანურ რეჟიმს, მრავალმა საკუთარ თავზე იწვნია ბედის სიმუხთლე.

პლატონ ალექსის ძე ახვლედიანის ცხოვრებაც მშობლიური საქართველოს უბედობის ხვედრის გამზიარებელია. მის მემკვიდრეთა მეხსიერებაში ნათლად შემორჩენილა ბატონი პლატონის მონათხრობი წარსულზე. მათი ნებართვით მსურს მკითხველს გავაცნო ეს მოგონებები მცირეოდენი კომენტარებით.

ცოტა რამ ბიოგრაფიიდან: გასული საუკუნის ბოლო ათწლეულის დამდეგს ალექსი ახვლედიანის ოჯახს კიდევ ერთი ვაჟი — პლატონი შემატებია. ჭკვიან და დიდი მიწა-წყლის მფლობელ ალექსის ღონიერი ოჯახი ჰქონია, მეუღლეც განათლებული ქალი ყოფილა, წარმოშობით რაჭველი.

ოთხკლას დამთავრებული პლატონი, რომელსაც მაშინდელი წესის თანახმად განათლება რუსულ ენაზე მიუღია, კარგი მცოდნე ყოფილა რუსული ენის, მათემატიკის, პოლიტიკაშიც ერკვეოდა. ახალგაზრდა კაცი მწერლად გაუმწესებიათ სასამართლოში. შემდეგ გვარდიის კომისარი გამხდარა.

მაშინდელი გვარდიის კომისარს ჯარში გაწვევასთან ერთად წესრიგის დაცვაც ევალებოდა. პოსტი, როგორც თავად პლატონი ეძახდა თავის სამუშაო ადგილს, სოფელ ლაილაშში მდებარეობდა. (ლაილაში ჩვენი საუკუნის პირველ ათწლეულებში ლეჩხუმის მაზრის ცენტრს წარმოადგენდა).

აქ მუშაობის პერიოდიდან ასეთ შემთხვევას იხსენებდა ბატონი პლატონი: „ნიკოლოზის დროს დედისერთა ვაჟი ჯარში არ მიყავდათ. სხვების გაწვევა კი სავალდებულო იყო. ერთხელაც მოვიდა ერთი კაცი, გვარად ალხაზიშვილი, მოიტანა ქრთამი და მთხოვა, ჩემი ბიჭი დამიტოვე და მეზობელი დაასახელა, ის გაგზავნეო, ვერ გიჩივლებს, წერა არ იცის. ქრთამი უკან გავატანე და მისი შვილიც გავიწვიე“.

ვერ უჩივლებდა პლატონ ახვლედიანს ალხაზიშვილის მეზობელი, მაგრამ საკუთარი სინდისი უჩივლებდა, ის სინდისი, რომელსაც მხოლოდ ბუნება გვარგუნებს და რომელიც ყოველგვარ ფასეულზე მაღლა დგას.

* * *

1921 წელი. საქართველომ ყველაზე ძვირფასი— თავისუფლება დაჰკარგა.

ბატონი პლატონი იგონებდა: „როცა ნოე ჟორდანია თავისი ხალხით ბათუმიდან მიდიოდა, მეც მათთან აღმოვჩნდი. როგორც კი გემის პირველი საყვირი გაისმა, ავწრიალდი, გამახსენდა დეხვირი, ახლობლები, ჩემი ოჯახი. მივედი ნოე ჟორდანიასთან, ამ საოცრად განათლებულ, ჭკვიან კაცთან და მოვახსენე: უნდა დავრჩე, ბატონო ნოე. რატომ, ბატონო პლატონო, გაუკვირდა (საუბრისას ცოტა ენას უკიდებდა). ყურადღებით მომისმინა, მიმიხვდა და უხმოდ გამომყვა. გემიდან რომ გადმოვედით, იქ დაგვხვდა ბათუმის მერი ირაკლი ახვლედიანი, რომელმაც ჩემი სიკვდილი მოინდომა. იარაღი შემართა და თქვა: აი, ვინ ღალატობს ჩვენს საქმესო. ნოემ კი უთხრა: დაე, წავიდესო.

ქალაქში დამიჭერდნენ. გამოვყევი რკინიგზის ლიანდაგს, გზას ჩადრიანი ქალი მასწავლიდა, გვარად ახვლედიანი. რა ბედნიერი არიან თქვენი ქალები, ჩადრს რომ არ ატარებენო,— სევდიანად მითხრა იმ ქალმა. ფრთხილად მივდიოდით. თუკი შეგვამჩნევდნენ, ორივეს სიკვდილი გველოდა“.

ნოე ჟორდანიას ხსენება თურმე ყოველთვის ცრემლს გვრიდა. ბატონ პლატონს. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გადახვეწას საქართველოს მონობის ტოლფასად მიიჩნევდა.

მოგონებებიდან აშკარაა, რომ პლატონ ახვლედიანი იცნობდა ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილს, სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წევრებს. იყო კი თავად სოციალურ-დემოკრატიული პარტიის წევრი? იხსენებენ, რომ თავად უარყოფდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრობას, „მე არცერთ პარტიას არ ვეკუთვნოდი, ჩემს მოვალეობას ვასრულებდიო“. სარწმუნოა, ერის მსახურის მისია ხომ ნებისმიერ პარტიულობაზე მაღლა დგას.

კვლავ 1921 წელი... ჭეშმარიტი ერისშვილნი სატკივარს ვერ მალავენ, საქართველოს საუკეთესო შვილებს გლეჯენ მკერდიდან, საქართველო განწირულია... იწყება 20-იანი წლების სი-

გზის მშენებელთა საქმენი

ცაგერის საგზაო სამმართველოს კოლექტივმა მიზნად დაისახა რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, ხიდების მშენებლობისა და შეკეთებითი სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულება. წლის ფინიში ახლოვდება და გარკვეული შედეგებიც მოიპოვეს.

სამმართველოს ხელმძღვანელობამ (უფროსი ო. გიორგობიანი) აამაღლა გზების მშენებელთა პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისადმი, მინიმუმამდე იქნა დაყვანილი მექანიზმებისა და მშრომელთა მოცდენები.

სამმართველოს საქმიანობის გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ კოლექტივის მიზანია ცოდნა და გამოცდილება, ძალა და ენერგია არ დაიშურონ და კეთილმოწყობილი გახადონ გზები და ხიდები, რითაც შეუქმნან რაიონის მშრომელებს კეთილგანწყობილი გუნება.

ასეთია მიღწეული შრომის შედეგები: 10 თვეში შეასრულეს ერთი მილიონ 110 ათასი მანეთის სამუშაო, მათ შორის გზების მშენებლობისა 326 ათასი მანეთისა, კაპიტალურ შეკეთებაზე 369,1 ათასი მანეთის, საშუალო შეკეთებაზე 180 ათასი მანეთის. მიმდინარე შეკეთებასა და ზამთრის შენახვაზე დაიხარჯა 235 ათასი მანეთი. გზების მშენებლობის წლიური გეგმა შესრულებული აქვთ 99 პროცენტით.

კაპიტალური შეკეთება ჩუტარეს უსახელოს სასოფლო გზას, **ალპანა-ზოგიში-ცაგერას, ჭილეშიჭვედა** ლაილაშის, ლაილაში-ღუს, აღვი-კენაშის, ლასურიაში-აღვის საავტომობილო გზებს. ააშენეს რკინა ბეტონის 14 ხიდი. გაკეთებული იქნა 15 ათასი კუბური მეტრი ქვის გაბიონი, 350 კუბური მეტრი ბეტონის საყრდენი კედელი.

აღვის, ლასურიაშის საირმის, გვესოს, ლაილაშისა და მთელი რიგი სოფლების მშრომელები კმაყოფილი არიან გზის მშენებლების, რომლებმაც ყველაფერი იღონეს გზების მშენებლობა-კეთილმოწყობისათვის.

წარმატებებში, რომელსაც სამმართველო აღწევს, თავიანთი წვლილი შეაქვთ მოწინავე მექანიზატორებს, მუშებს, ასეთები კი საკმაოდ არიან. მათ შორის პირველ რიგში დაგისახელებენ ბულდოზერის მემანქანეებს გოგი ბენდელიანს, ვაჟა კოპალიანს, დამტვირთელ შალვა მამარდაშვილს, გრეიდერის მემანქანეს ავთანდილ გვიშიანს, ავტომძღოლებს: ანტონ ახვლედიანს, ვენედი კვირკაშვილს, ოთარ მურცხვალაძეს, რეზო ლეთოდიანს, მუშებს: მამია ხეცურიანს, ოთარ ახვლედიანს, პოლიკატოზ ხეცურიანს, მაიზერ ხვადაგიანს და სხვებს.

მართალია სამმართველო საგეგმო დავალებებს გადაჭარბებით ასრულებს, მაგრამ ვერ დავმალავთ, რომ გზების მშენებლობა-კეთილმოწყობის საქმეში არის ნაკლოვანებებიც. ზოგან დაბალია შესრულებული სამუშაოს ხარისხი. ადგილი აქვს გეგმითგათვალისწინებული სამუშაოების შესრულების გაჭიანურებას.

საგზაო სამმართველოს მისამართით კანონიერ უკმაყოფილებას გამოთქვამენ ტვიშის, ზედა ლუხვანოს, წილამიერის მშრომელები, სადაც საავტომობილო გზების მშენებლობისა და შეკეთების დაგეგმილი სამუშაოები ჯერ-ჯერობით არ უწარმოებიათ. დაიწყო და ჯერ დაუმთავრებელია ორბელი-ლაშჭალის საავტომობილო გზის კეთილმოწყობა.

რაიონის საავტომობილო გზების მშენებლობისა და კეთილმოწყობის საქმეში არის მიღწევები, მაგრამ ეს მიღწევები კიდევ უკეთესი იქნებოდა, რომ ყველა წარმოება-დაწესებულება და საზოგადოებრივი მეურნეობა ასრულებდეს სახელშეკრულებო მოთხოვნებს, საწვავის ნაკლებობის გამო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მიერ შეფერხებები იყო ავტოტრანსპორტის მიწოდებაში, რამაც ზოგიერთი სოფლის გზის კეთილმოწყობის სამუშაოების შეუსრულებლობა განაპირობა.

საგზაო სამმართველოს ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვს მაქსიმალურად გამოიყენოს წლის დამთავრებამდე დარჩენილი დრო, გადაჭარბებით შეასრულოს საავტომობილო გზების მშენებლობისა და კეთილმოწყობის წლიური გეგმა.

ვლ. დავითულიანი.

ბიბლიის მუზეუმი

ბიბლიის პირველი ნაწილი, ძველი აღთქმის ანუ ე. წ. მოსეს წიგნები, პირველად 3000 წლის წინ შეიქმნა ძველ ებრაულ ენაზე, შემდეგ მას დაემატა ახალი აღქთმის ანუ ქრისტიანიზაციის დასაწყისი პერიოდის წიგნები. ყველა ესენი ერთად იწოდება ბიბლიად—ეს არის პირველი წიგნი, რომელიც ისტორიამ შექმნა. მასში ღვთაებრივ რელიგიურ თხრობასთან ერთად ბევრი ისტორიული მასალაცაა შეტანილი, რომელთაც ფასდაუდებული მნიშვნელობა აქვთ. მათ შორის ბიბლიაში პირველადაა მოხსენიებული მოსხების ქართული ტომი, როგორც მჭედლობისა და ხუროობის მცოდნე.

ბიბლიაში პირველადაა ჩამოყალიბებული ადამიანის ზნეობის საყოველთაო მორალური კოდექსი, რომელიც უცვლელია ყველა ეპოქაში, ბიბლიისადმი ინტერესი ყოველთვის დიდი იყო და საუკუნეების განმავლობაში იგი ითარგმნა მრავალ ენაზე—დღეს გამოცემულია მსოფლიოს ხალხთა 1907 ენაზე. თითქმის ყველა ენაზე, რომელსაც დამწერლობა აქვს.

ქართულად ბიბლია პირველად მე-5-მე-6 საუკუნეებში უთარგმნიათ და დღემდე შესრულებულია მისი რამდენიმე გამოცემა, ყველაზე სრული სახით ბიბლია გამოსცა ბაქარმა მოსკოვში დაარსებულ ქართულ სტამბაში 1743 წელს ნუსხახუცური დამწერლობით. მისი ერთი ეგზემპლარი ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული.

ამ ბოლო ათწლეულებში ბიბლია მსოფლიოს ბევრმა ერმა თანამედროვე ენაზე თარგმნა, რათა იგი ყველასთვის გასაგები გამხდარიყო. ბიბლია შარშან ბერლინში ტრაქტით გამოიცა ქართულ ენაზეც.

ბიბლიის უდიდესი საკაცობრიო მნიშვნელობის გამო შარშან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ქ. მიუნხენში შექმნეს ბიბლიის მსოფლიოში პირველი მუზეუმი. მასში თვმოყრილია მსოფლიოს მრავალ ენაზე გამოცემული ნაბეჭდი და ხელთნაწერი წიგნი. მათ შორის უძველესია პაპირუსზე და პერგამენტზე ხელთნაწერი ბიბლიები.

ჯ. სალინაძე.

ერის სიამაყე

დედაბოძი

აღვში ცხოვრობს ერთი პატივსაცემი ქალი—მარიამ მელქიზის ასული ბაკურაძე, რომელიც 96 წლისაა. იგი სურმუშში დაიბადა, 18 წლისამ ბედი აღველ გრიგოლ ყაფლანის ძე დევდარიანს დაუკავშირა, ცოლქმარმა მოვალეობად მიიჩნია: სპეტაკი ქართული ოჯახის შექმნა, შვილების კარგი აღზრდა.

ქალბატონ მარიამს სოფელში კარგ დედად, მეურნედ და დიასახლისად იცნობენ. დღეს ოთხი შვილის დედას 36 შვილიშვილი და შვილთაშვილი ჰყავს.

მარიამი თავდადებით მუშაობდა კოლმეურნეობასა და საკარმიდამო მეურნეობაში, იყო მოწინავე მეაბრეშუმე. მისი შვილები და შვილიშვილები შრომის მოყვარულნი არიან. მარიამი ამჟამადაც კარგად გრძნობს თავს და მისი იმედი და სიტყვა ბევრს ნიშნავს დიდი ოჯახისათვის.

დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას ვუსურვებთ ხანდაზმულ ქალს.

ნოე ახვლედიანი,

ომისა და შრომის ვეტერანი,

სოფელი აღვი.

დღეები ერის

სასტიკით გაუგონარი, არაადამიანური რეპრესები.

მშობლიური კუთხისაკენ მიმავალ პლატონს დევნიან ყოველ ნაბიჯზე. ორი წელი ქუთაისში იმალებოდა. შავ სიაში ჩაწერეს. ოჯახი გააკულაკეს, ხშირად შუაღამისას აწიოკებდნენ კიდეც. თვითონ მას „ხალხის მტერს“ ეძახდნენ. თავს ნათესავებში, ნათლიებში აფარებდა. „ხალხმა გადამარჩინაო“, იტყოდა.

ხალხმა სიმართლე იცოდა, თავისუფლება სწყუროდა... ბოლშევიზმი კი მძლავრობდა.

„რევოლუცია? რა რევოლუცია,—იტყოდა ბატონი პლატონი,—დაგვიპყრეს რუსებმა. ჩვენში რევოლუციონერობას იჩემებდა ტყეში გასული ხალხი, დამნაშავენი, რომლებსაც პოლიტიკასთან საერთო არაფერი ჰქონდათ, უმეცარნი იყვნენ. მოხდა რევოლუცია და უეცრად პასუხისმგებელი მუშაკები გახდნენ“.

ერთხელ მისთვის გაზეთ „სტალინელში“ დაბეჭდილი წერილი წაუკითხავთ ქუთაისში მცხოვრებ დომენტი აბაშიძეზე. ქუთაისის მეორე საშუალო სკოლის სამნეო ნაწილის გამგე დ. აბაშიძე წერილში იხსენებდა, რომ მის დასაჭერად მოვიდა პ. ახვლედიანი თეთრგვარდიელებთან ერთად, რადგანაც თავად რევოლუციურ საქმიანობას ეწეოდა. პლატონმა წერილის ავტორი მოიკითხა, რა პროფესიის კაციაო, ისტორიკოსიო, რომ უთხრეს, გაეცინა თურმე—ისტორიკოსს უნდა სცოდნოდა, ლეჩხუმის ტერიტორიაზე მე თეთრგვარდიელები რომ არ მეყოლებოდაო.

..ისტორიული სიმართლე თემიდას სასწორის მიღმა დარჩენილიყო.

1924 წელი. სიკვდილი მბრძანებლობდა, ღვთისაგან ბოძებული სიცოცხლე არადფასობდა...

1924 წელს ბულვარის თავში (ახლანდელი კინოთეატრის წინ) გაუყვანიათ სიკვდილმისჯილნი, მათ შორის პლატონიც. გამოუვლია აბელ კოპალიანს და დაუძახია: არ დახვრიტოთ ეს კაცი, თორემ თქვენ ყველას ზედ მიგაყოლებენო, მოსულია ბრძანება მაგაზეო.

იმ ღამით, მართლაც მოსულა ბრძანება ქუთაისის ციხეში გადაგზავნის შესახებ. გადაუყვანიათ ქუთაისის ციხეში, შემდეგ მეტეხის ციხეში. გაუნთავისუფლებიათ...

. არავის აუხსნია, რატომ დაიჭირეს, არავის აუხსნია, რატომ გაანთავისუფლეს... არსებობდა ძალა, რომელიც ადამიანთა დაუკითხავად განაგებდა მათ ბედს.

„შეურიგდა“ მთავრობა. შერიგების სანაცვლოდ მშობლიური სოფელი დაატოვებინეს, ცაგერში გადმოასახლეს, გაძლიერებული კონტროლის ქვეშ რომ ჰყოლოდათ. მალე დაუჭერიათ ბრალდებით: ლენინის და სტალინის სურათები დახიაო. ბრალდებას ღიმილი მოუგვრია მისთვის და უთქვამს: „სისულელეა, ჩემს სახლში ლენინის და სტალინის სურათები რატომ უნდა იყოს, და რაც არ მქონდა, რას დავხევდიო“. 5 წელი მიუსაჯეს და ტაშკენტში გაგზავნეს.

ტაშკენტში მხოლოდ 2 წელი და 8 თვე იყო. თავდადებული შრომით დაიმსახურა „გულმოწყალება“.

მოგონებებიდან: „უფროსმა ერთხელ დამიძახა და მკითხა: რა გიყო, ვერაფერს გიხერხებ, არაფერს აშავებო. არადა ისეთი საბუთები გაქვს... ამის დამწერს დავახრჩობო“.

ასეც იყო, ცილისწამებას ადამიანს ბედის განაჩენს დასაყრდენ დოკუმენტადაც კი მიიჩნევდნენ.

ისევ მოგონებიდან: „ტაშკენტში ერთ საღამოს ჩემთან ორი პატიმარი შემოიყვანეს, მეკითხებიან: შენ ქართველი ხარ? ლენინი ვინ იყო, სტალინი ვინ იყო? მე არ ვპასუხობ, უვიცად მოვაჩვენე თავი. დამანებეს თავი და ერთმანეთს დაუწყეს ლაპარაკი. ერთი ამბობს: უფლება რომ მქონდეს ქართველებს ორ თვეში გავწყვეტავო. მეორემ უპასუხა: რადმინდა ორი თვე, მომწამვლელი გაზით ორ დღეში ყველას ამოვწყვეტ, რადგანაც სტალიხი ქართველი იყო“.

აკი მოგვიწყვეს 9 აპრილის „ბართლომეს ღამე“, ქართველების თავისუფლების წყურვილის სურვილის ჩაკვლასაც სწორედ მომწამვლელი გაზით შეეცადნენ.

* * *

მოგონებებიდან: მოხუცებულობაში სვანეთში (ლენტეხის რაიონში) ქორწილში მყოფი პლატონისთვის უთქვამთ, გრიშა ონიანი ჩამოსულაო გადასახლებიდან. ცრემლიანი ყოფილა თანამებრძოლთა შეხვედრა. გრიშა ონიანი, ეს მთასავით კაცი გადახვევია პლატონს და უთქვამს: მარტო ჩვენ ვართ პლატონ ცოცხლები, ციმბირში ყველა დაიღუპა, მე გავუძელიო.

„მე გავუძელიო“ (!) გაძლება მხოლოდ არსებობა იყო მათი ყოფა. საფრანგეთიდან გამოგზავნილი ბარათის მომტან კაცთან შეხვედრაც ვერ გაუბედია ბატონ პლატონს და მერე მთელი სიცოცხლე თურმე იმის ინტერესი აწვალებდა, რა ეწერაო იმ წერილში.

* * *

ისინი ტანჯვის და ცრემლის ზღვაში ცხოვრობდნენ, სიმართლეს საკუთარ ფიქრებს ანდობდნენ და უდანაშაულოდ დასჯილთა მარად მოუშუშებელ იარებს ატარებდნენ.

იმ წლებიდან მონატრებული თავისუფლება, შელახული პიროვნული ღირსება გვერგო და კიდევ, ძლიერი მემკვიდრეობა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, რომელიც დღემდე გაუტეხელი სულით და ბრძოლით მოვიდა.

თავისუფლების ნანატრი კონტურები უკვე იკვეთება, ამ კონტურთა ხღურბლს მიღმა კი 1921-24, 1937-1956 წლების რეპრესიებია, 9 აპრილის ღამეა—ტკივილიანი დღეები ერის წარსულის.

ლ. ცხვედიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანი ჯანმრთელი რომ იყოს

წვრილი ხურმა გემრიელია, მაგრამ...

შემოდგომობით ზოგიერთი ხილი ხშირად მძიმე დაავადებას იწვევს. ამის მიზეზი ნაყოფის კურკიანად ჭამა გახლავთ, რაც ზოგჯერ კუჭსა და ნაწლავებში მცენარეული ქვების განვითარებით მთავრდება.

მაგალითად, საქართველოსა და ბევრ სუბტროპიკულ ქვეყანაში გავრცელებული წვრილი, შავი გარეული ხურმა იწვევს დაავადება—ფიტობეზოარს. ბეზოარი ეწოდება კუჭში გაჩენილ მკვრივ უცხო სხეულს. იგი წარმოიქმნება ისეთი ნივთიერებებისაგან, რომელსაც კუჭის წვენი ვერ ინელებს.

სილნალის რაიონის ავადმყოფს ქირურგიულ განყოფილებაში მოიყვანეს 23 წლის ახალგაზრდა, რომელსაც 2 დღით ადრე დაწყებული ჰქონდა მუცელში ძლიერი ხასიათის მოვლითი ტკივილი, შებერვა, გულის რევა, ღებინება, აირებზე ვერ გადიოდა, დეფეკაცია არ ჰქონდა. იყო ნაწლავთა სრული გაუვალობის სიმპტომკომპლექსი.

გამოკითხვით დადგინდა, რომ ხუთი დღის წინ უჭამია შავი, წვრილი კავკასიური ხურმა.

გაუკეთდა სასწრაფო ოპერაცია და წვრილ ნაწლავში აღმოჩნდა—ფოტობეზოარი, რომელმაც გაუვალობა გამოიწვია. მისმა მოცილებამ ავადმყოფი სიკვდილს გადაარჩინა.

იმავე ავადმყოფმა არ ისმინა ჩვენი რჩევა და სტაციონარიდან გაწერის შემდეგ ხურმა ისევ მიირთვა. ხურმის მიღების მესამე დღეს კვლავ ჩვენს საავადმყოფოში საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ოპერაციის დროს კუჭიდან დიდი ზომის ფიტობეზოარი ამოვიღეთ, ავადმყოფი ამჯერადაც გადარჩა.

ბეზოარი შეიძლება განვითარდეს რამდენიმე დღეში და ზოგჯერ რამდენიმე წელიწადში. როგორც აღვნიშნეთ, ეს დაავადება შეიძლება გაუჩნდეს კუჭის წულულიან ავადმყოფებს, ზოგჯერ პირიქითაც ხდება—ფიტობეზოარი იწვევს კუჭის წულულს. განსაკუთრებით ხაშიშია ნაწლავთა ფიტობეზოარი.

დაავადებული შეიძლება დიდხანს არაფერს უჩიოდეს, ვიდრე ფიტობეზოარი გართულებას არ გამოიწვევს: ავადმყოფს აწუხებს უსიამოვნო შეგრძნება და ტკივილი გულის კოვზის არეში, კუჭის წვა, გულძმარვა, ბოყინი, გულისრევა, ღებინება (ზოგჯერ პირნაღებში ბეზოარის მასებია), უმადობა, სიგამხდრე, საერთო სისუსტე. ტკივილი ზოგჯერ ძლიერია, ხშირად უზმოდ და ღამით, თითქმის ისე, როგორც წულულოვანი დაავადების დროს. ნაწლავთა ბეზოარს ახასიათებს მწვავე გაუვალობის ნიშნები: მოვლითი ხასიათის ტკივილი მუცელში, პირღებინება, შეწყვეტილია კუჭის მოქმედება. დროულად თუ არ დავეხმარეთ, ავადმყოფი დაიღუპება.

უნდა გვახსოვდეს, რომ კავკასიურწვრილ შავ ხურმას ადამიანისათვის უფრო მეტი ზიანი მოაქვს, ვიდრე სარგებელი. ამიტომ ვურჩევთ ყველას, ერიდონ ჯანმრთელობისათვის ამ საშიში ხილის ჭამას. თუ მაინც მოისურვებენ ხურმით პირის ჩატკბარუნებას, ხილი უნდა იყოს მწიფე და თანაც კარგად უნდა დაიღეჭოს.

სპორტი

ჭადრაკის დაფეზრა

სპორტდარბაზში გაიმართა მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება საშუალო სკოლებისათვის ჭადრაკში. შეჯიბრების მიზანი იყო მოსწავლეთა ნაკრები გუნდის დაკომპლექტება და რესპუბლიკურ ღონისძიებებში მონაწილეობა. შეჯიბრებაზე 14 სკოლიდან გამოცხადდა 9. გამოუცხადებლობის მიზეზი ძირითადად ტრანსპორტია. მოგეხსენებათ, უბენზინობის გამო ავტობუსები არ მოძრაობენ და განსაკუთრებით ეს ხდება შაბათ-კვირას.

ვაჟთა შორის პირველობა არავის დაუთმო ლაჯანის სკოლა-ინტერნატის მოსწავლემ ალეკო ბენიძემ. მან 8 თამაშიდან 7 ქულა მოაგროვა. მეორე ადგილზე გამოვიდა შალვა ასათიანი (ბარდნალის საშუალო სკოლა), ხოლო მესამე ადგილი წილად ხვდა ბესიკ დავითულიანს (ჩხუტელის სკოლა).

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ პატარა ასაკის მოსწავლეებიც. ჩხუტელის საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლემ ბესიკ დავითულიანმა მეორედ მიიღო მონაწილეობა შეჯიბრებაში და III ადგილის დაკავება შეძლო. ლასურიაშის საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე ზაზა კენჭაძე პირველად მონაწილეობდა. მართალია დიდ შედეგს ვერ მიაღწია გამოცდილ მოთამაშეებთან, მაგრამ მომავალში მისგან კარგ მოჭადრაკეს ველოდებით.

გოგონებში ადგილები ასე განაწილდა: პირველი ადგილი აქაც ლაჯანის სკოლა-ინტერნატის მოსწავლემ ინგა მუშკუდიანმა მოიპოვა, მან 6-დან 6 ქულა მოაგროვა, მეორე ადგილზე გამოვიდა ლასურიაშელი ელზა ხეცურიანი, ხოლო მესამეზე ნატო მიქაძე (ჩხუტელის საშუალო სკოლა).

შეჯამდა საერთო გუნდური ადგილები. პირველი ადგილი წილად ხვდა ლაჯანის სკოლა-ინტერნატს, მეორე—ჩხუტელის, მესამე—ბარდნალის საშუალო სკოლებს. შედეგები შეევა სპარტაკიადის ცხრილში.

გამარჯვებული გუნდები და ინდივიდები დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის დიპლომებითა და სიგელებით.

ვ. მუშკუდიანი,
შეჯიბრების მსაჯი.

ეს ჩვენი ისტორიაა

მთაწმინდა

მთაწმინდას მამადავითის მთასაც უწოდებენ. მან ეს სახელი მიიღო ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავანის—ათონის მთის მიხედვით. გადმოცემით ამ მთის აღმოსავლეთ კალთაზე სენაკი გამოუქვაბავს ერთ-ერთ ასურელ მამას— დავითს (გარეჯს). IX საუკუნეში აქ ივრის ღვთისმშობლის ეკლესია იდგა. ამ ეკლესიის ადგილას 1542 წელს ძმებმა ნიკოლოზ და დავით გაბაშვილებმა ააგეს წმინდა დავითის მონასტერი.

ამჟამად მთაწმინდაზე არსებული ეკლესია აშენებულია 1871 წელს. მე-9 საუკუნის დასაწყისამდე მთაწმინდა ტყით იყო დაფარული. ახლანდელი ტყე ხელოვნურია. მთაწმინდის პლატოზე გაშენებულია კულტურისა და დასვენების პარკი, რომელიც დედაქალაქთან საავტომობილო და ბაგირგზითაა დაკავშირებული, გაყვანილია ფუნიკულიორი. მთაწმინდის აღმოსავლეთ კალთაზე მდებარეობს ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონი.

მთაზე დგას დიდი სატელევიზიო ანძა.

ბილეთები

რუიზან, ჯემალ აღავიძეებს
გილოცავთ ქალიშვილის ბედნიერებას.
ცაგერის ღვინის ქარხნის თანამშრომლები.

შურა, ოთარ ყურაშვილებს
გილოცავთ ვაჟიშვილის ბედნიერებას. ფუძეძლიერი და შვილმრავალი ყოფილიყოს მათი ახლადშექმნილი ოჯახი თქვენი გულისა და მამულის გასახარად.
ციცო სადილიანი, ყენია მანაგაძე, თამარ ტვილდიანი, ლია გოლეთიანი, ხათუნა კაბოსნიძე, ლია ხვადაგიანი, მანანა საღინაძე, მედიკო ნემსაძე, ნელი ქურასპედიანი, ლია მუშკუდიანი.

შურა, ოთარ ყურაშვილებს
გილოცავთ შვილის ბედნიერებას. ბედნიერი ცხოვრების გზით ევლოს, მტკიცე ქართული ოჯახი შეექმნას, ერი ემრავლებინოს.
ზაურ ახვლედიანი ოჯახით.

მანანა ჟორას ასულ ომანაძეს
მერაბ გაღაქტიონის ძე ქომეთიანს
გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ღირსეულ ქართველ ქალად. კვლავაც სიმრავლეს გისურვებთ.
ბარდნალის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

მალხაზ ბენიძე, ჯიმშერ, ალიოშა, გივი, გიული ხაბულიანები, ბენია, გიმარ თუთისანები, ანზორ ნემსწვერიძე, სეითო, გრიგოლ ქომეთიანები, გერონტი, გუგული კოპალიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ლილი და ჯემალ დავითულიანებს ძმისა და ცოლისძმის
ჯემალ ინდიკოს ძე ყურაშვილის
გარდაცვალების გამო.

წიფერჩის სასოფლო საბჭოს, კავშირგაბმულობის განყოფილების, საყოფაცხოვრებო უბნის, კულტურის სახლის, ბარდნალის, წიფერჩის და ლარჩვალის ბიბლიოთეკების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლილი ყურაშვილს ძმის
ჯემალ ინდიკოს ძე ყურაშვილის
გარდაცვალების გამო.

მარიამ კანდელაკი, გელა ხვადაგიანი, კუკური მდივანი, თამაზ ჩაკვეტაძე, კარლო ყვირილიანი, ლია ფალავანდიშვილი, თალიკო ყურაშვილი, სეით ყურაშვილი, რუბენ ჯიქია თანაუგრძნობენ მარინე, დათო ხაბულიანებს დედისა და სიდედრის
ქეთევან გოლეთიანი-მელაძის
გარდაცვალების გამო.

წიფერჩის საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლილი ყურაშვილს ძმის
ჯემალ ინდიკოს ძე ყურაშვილის
გარდაცვალების გამო.

ჟორა, ომარ გურგუჩიანები, ბადრი გზობავა ოჯახებით თანაუგრძნობენ ნარგიზა, გოგი საღინაძეებს
რუსუდან კოპალიანის
გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები: ზურაბ, მურმან, თემურ, რუბენ, ომარ, ვიტალი, ვარლამ, პაატა, ჯემალ მუშკუდიანები, გენო, იულო უგრეხელიძეები, ჟორა ხეცურიანი, ბორის გოლეთიანი, ჯეირან ყურაშვილი, მაშო გიორბელიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალნენ
ჯემალ ყურაშვილი
და
შოთა უგრეხელიძე
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

როზეტა ქვარიანი ოჯახით თანაუგრძნობს როსტომ ახვლედიანს და ლეილა ნემსწვერიძეს
შალვა ახვლედიანის
გარდაცვალების გამო.

რედაქტორის მოადგილე
მ. ძნელაძე.

აკაკი, კუჭიკო, რამინ, ჯუმბერ, მერი ყურაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ჯემალ ინდიკოს ძე ყურაშვილი
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

რამინ ყურაშვილი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა
ჯემალ ინდიკოს ძე ყურაშვილი

ტარზან, დემურ მეშველიანები, ზაზა ყურაშვილი, გივი ასათიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
რუსუდან კოპალიანი

მამუკა, მაყვალა, დათო, გია, ნათელა, ნინო, მარიკა, ნინო, მაია, მადონა, მაყვალა, მამუკა, ნატო, ქეთინო კოპალიანები, ზაზა იმნაძე, იამზე, ზაურ ბენდელიანები, მედიკო, იდენ, ლია ნემსწვერიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
რუსუდან კოპალიანი

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, დენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-2[illegible], სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების—22-41 ხაკორექტორის—22-42. სტატიის დირექტორის —22-17, საამწყობრო საოქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №105, ტირაჟი 4488

საქართველოს სსრ ეროვნული სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის ბიბლიოგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.